

ადამიანის პათოგენი არაჰალოფილური ვიბრიონების შესაბამისი ბქტერიოფაგების გავრცელება და მრავალფეროვნება

თინათინ ელბაკიძე

t.elbakidze@yahoo.com

ა. გელიაშვილს სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის

ინსტიტუტი. მიკრობული ეკოლოგიის ლაბორატორია

ბ. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი. მიმართულება: იმუნოლოგია და
მიკრობიოლოგია

ვიბრიონების 70-ზე მეტი სახეობაა ცნობილი, ისინი იყოფა ორ ჯგუფად: ჰალოფილური და არაჰალოფილური ვიბრიონები. არაჰალოფილური ვიბრიონებს მიეკუთვნება ადამიანისთვის პათოგენი სახეობები *V. cholerae* და *V. mimicus*. *V. cholerae* ზღვის მტკნარ და მომლამო წყლიან გარემოში გავრცელებული ორგანიზმია. O1 და O139 სეროტიპებს აქვთ მკაფიოდ გამოხატული კლინიკური და ეპიდემიური მნიშვნელობა, იწვევენ რა საშიშ დაავადება ქოლერას. ქოლერა ვრცელდება დაბინძურებული წყლით, ზღვის და სხვა საკვები პროდუქტებით. აშშ-ს CDC -ის კლასიფიკაციით *V. cholerae* განსაკუთრებით საშიშ პათოგენების მე-2 კატეგორიას განეკუთვნება და აქვს პანდემიის განვითარების მაღალი პოტენციალი.

უკანასკნელ წლებში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით განახლდა ინტერესი *V. cholerae*-ს ეკოლოგიასა და ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებით. საქართველოს თბილი, სუბტროპიკული კლიმატი ხელსაყრელ პირობას ქმნის *V. cholerae*-ს გამრავლებისა და გავრცელებისათვის.

2006-2009 წლის განმავლობაში საქართველოს წყლიანი გარემოდან მიმდინარეობდა არაჰალოფილური ვიბრიონების და მათი შესაბამისი ბაქტერიოფაგების გამოყოფა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა წყლის სინჯების აღება შავი ზღვის სანაპირო ზოლის ოთხი წერტილიდან, კერძოდ: ბათუმის ბულვარი, მდ. ჭოროხის შესართავი, მდ. სუფსის შესართავი და მწვანე კონცხის სანაპირო ზოლი, ასევე თბილისის ზღვის, ლისის და კუმისის ტბებიდან. გამოყოფილი შტამების და ფაგური იზოლატების დახასიათებას ვახდენდით სხვადასხვა მიკრობიოლოგიური, მოლეკულური და იმუნოლოგიური მეთოდების გამოყენებით